ცნობის ფურცელი

№ 1753 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 პარასკევი, 15 მარტი № 1753

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“.** ტელეფონი № 372.

მარიამ დავითის ასული შვილებით და ივანე თევდორეს ძე კოლელიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებასა, პირველნი ძვირფასის ქმრისა და მამისა, ხოლო მეორე—საყვარელის ძმისა

იოსებ თევდორეს ძის კოლელიშვილისას.

პანაშვიდი იქნება დღეს, 14 მარტს, საღამოს 7 საათზე განსვენებულის სადგომში, გიორგიევის მოედანზე № 32, ხოლო გასვენება პარასკევს, 15 მარტს დილის 9½ საათზე, კალოუბნის ეკკლესიაში და იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულის

ალექსანდრე ნიკოლოზის ძის აბდუშელიშვილისა

აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 16 ამა მარტს, დღით შაბათს, დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში და სოფ. ითხვისში, შორაპნის მაზრის ნათლის მცემლის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი. (2—276—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12 | 1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1,—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მერესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაიძლისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274 (წლ.)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოებასთან

ისყიდება აბრეშუმის თესლი

იტალიურის, ფრანგულისა და ბაღდადის ჯიშისა. (ნ. 3—2)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღაევის სახლი.

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. დეპუტატების პალატის გადაწყვეტილება პარლამენტის ვადის ექვს წლამდე გადიდების შესახებ დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში. რეაქციონური და სოციალისტური პრესა მეტად უკმაყოფილოა ამ ახალ გადაწყვეტილებისა. ნაციონალისტების გაზეთი „ჟურნალი“ ამბობს, რომ ეს დადგენილება მეტად სამწუხაროა და ამომრჩევლებმა უნდა დაავალონ თავიანთ კანდიდატებს ისევ ოთხი წლიწადი შემოიღონ პარლამენტისათვის. „გოლუა“-ს სიტყვით, საფრანგეთს „უმზადებენ უარესს დიქტატურს—დიქტატურს რადიკალებისას და სოციალისტებისას, რომელნიც შეთქმულან, რომ დაღუპონ საფრანგეთი“. რადიკალებისა და ლიბერალების გაზეთები-კი კმაყოფილნი არიან. ექვსი წლიწადის შემოღება გაუმჯობესებს პოლიტიკურ ზნეობას და გაანაყოფიერებს პარლამენტის მოქმედებასაო.

სენატიც, ალბათ, მიიღებს ამ პროექტს, რადგან ეს დაწესებულება ლიბერალების ხელშია.

ნაციონალისტების და სოციალისტების უკმაყოფილება ადვილად ასახსნელია. პირველების უკმაყოფილება პრინციპიალურ ხასიათის არ არის—იგი იმითაა გამოწვეული, რომ ახლო არჩევნებზე ვერ გაიმარჯვებენ და მაშასადამე ექვსის წლის განმავლობაში ამათ შეძლება არ ექმნებათ წყალი ამღვრიონ და მღვრიე წყალში თევზი იჭირონ. სულ სხვაა სოციალისტების უკმაყოფილება, იგი პრინციპიალურის ხასიათისაა: სოციალისტების მიზანიაა ხალხის პირდაპირ ხალხითვე მართვა და ამიტომ ისინი პრინციპიალურად წინააღმდეგნი არიან ეხლანდელ პარლამენტისა და მით უმეტეს უნდა ეწინააღმდეგებოდნენ გრძელ ვადიან პარლამენტს, რომელიც ხელს უშლის ამომრჩევლებისა და ამორჩეულების ხშირ დამოკიდებულებას.

ავსტრ-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტი ისევ გახდა საშინელ სცენების ასპარეზი. ეს უკიდურესი გამწვავება გამოიწვია სლავიანების გამარჯვებამ: პარლამენტის უმრავლესობამ მიიღო პროექტი ლაპაში ჩეხურ გიმნაზიის, ცელიაში სლოვენურისა, პაზინაში ხორვატულისა. კენჭის ყრის დროს სლავიანებს იტალიელებიც მიუდგნენ. ამ გამარჯვების შემდეგ გერმანელებისათვის ცხადი გახდა, რომ მათ უმეტესობა აღარ ეყოლებათ პარლამენტში. გაბრაზებული პანგერმანელები ჰყვიროდნენ, სტვენდნენ, ქაღალდებს ესროდნენ პრეზიდენტს. საერთო არეულობის დროს ცნობილმა ვოლფმა სილა გაარტყა ერთ დეპუტატს. პრეზიდენტი განუწყვეტლივ ზარს აწკარუნებდა და, რომ ვერაფერი გაწყო, პალატიდან წავიდა. ლანძღვა-გინებით დაიშალნენ დეპუტატები. პან-გერმანისტებმა გამოაცხადეს, რომ ისევ ობსტრუქციას დაუბრუნდებიან.

ნაბატონარი გერმანელი ვერ იტანს თავის გუშინდელ ნაყმევის თანასწორობას და იმიტომ არის, რომ ასეთის სიმწარით იქცევა და უკიდურესს საშუალებას არ ერიდება. მაგრამ ვერც ამით გააწყობს რასმე—ყმა განთავისუფლდა, განვითარდა და მას ყმობას ვეღარ დაუბრუნებენ.

✿ ნახევრად განთავისუფლებული რუსინებიც-კი (რუსეთში ამათ მალოროსები ჰქვია) მედგრად იბრძვიან ამ ბოლოს დროს თავიანთ ეროვნულ ინტერესებისათვის და ამ ბრძოლას შედეგიც აქვს. საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს რუსინების ინტერესი ვერ არის შესაფერისად დაცული და პატივცემული: განათლების სამინისტროში რუსინებს არ ჰყავს წარმომადგენელი, გალიციის სასკოლო საბჭოს 21 წევრთ შორის მხოლოდ ოთხი რუსინია და 5 ინსპექტორ შორის ერთია. ამისაგან დამოკიდებულია რუსინულ სკოლების სიმცირეც; მთელ გალიციაში 4004 სახალხო სკოლაა, ამ რიცხვიდან რუსინების არის მხლოდ 1932 სკოლა, 33 გიმნაზიიდან რუსინებს ეკუთვნის 4; საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი კი სრულებით აღარ გვაქვს, თუმცა რუსინელ სტუდენტების რიცხვი რვა-ასამდეა. ამიტომ ჩვენ, რუსინები, ვთხოულობთ, რომ განათლების სამინისტროში მიწვეულ იქმნეს რუსინელ ერის წარმომადგენელი, რომ დაარსებულ იქმნას გალიციის სასკოლო საბჭოსთან რუსინების განსაკუთრებული განყოფილება და რომ რუსინელ სკოლებისათვის მიწვეულ იქმნეს განსაკუთრებული რუსინელი ინსპექტორები.

ჩვენის მკითხველებისთვის საყურადღებო ის არის თუ რას ნიშნავს რუსინიელი სკოლა. პოლონელ პოლონელებისათვისაც არსებობს სკოლები, მაგრამ ეს სკოლები გერმანულია და არა პოლონური, ე. ი. ისეთი სკოლები, სადაც პოლონელ ბავშვების გაგერმანელებას სცდილობენ—ყველა საგნებს გერმანულ ენაზე ასწავლიან. ასეთი სკოლები, რომ უნდოდეს რუსინს, არც არაფერს იტყოდა, რადგან გალიციაში სკოლების რიცხვი ოთხი ათასზე მეტია. არა, რუსინი თხოულობს ნამდვილ რუსინულ სკოლას, სადაც საგნებს სამშობლო ენაზე ასწავლიან და არ სცდილობენ მოსწავლეების გადაგვარებას. აქამდე ამისთანა სკოლა გალიციელ რუსინს 1932 ჰქონია, გარდა ამისა 4 საშუალო სასწავლებელიც. ლვოვის პოლონურ უნივერსიტეტშიაც არის რამდენიმე კათედრა, სადაც პროფესორები რუსინულ ენაზე ჰკითხულობენ თავიანთ სამეცნიერო ლექციებს. ერთის სიტყვით, ეხლანდელ მდგომარეობაშიაც, რომელსაც ასე უჩივის რუსინელი დეპუტატი, რუსინს შეუძლიან მიიღოს განათლება

ფელეტონი

„მოხუცი იზერგილი“

მ. გორკისა

II*)

— კვლავ გაგიგონია სადმე ამისთანა სიმღერა?—დამეკითხა იზერგილი, თავი აიღო და თავისი უკბილო პირით გამიღიმა.

— არ გამიგონია... არასოდეს არ გამიგონია!—წავიჩურჩულე მე.

— ვერც გაიგონებ!.. ჩვენ ხალხს უყვარს სიმღერა, სილამაზეცა აქვს. მარტო ლამაზებს შეუძლიანთ კარგათ მღერა, ლამაზებს, რომელთაც უყვართ სიცოცხლე. დიაღ, ჩვენ გვიყვარს სიცოცხლე. აბა შეხედე, განა მთელი დღე მუშაობით არ უნდა დაღლილიყვნენ: მზის ამოსვლის ჩასვლამდე ერთი არ შეუფერხიათ, მთვარემ ამოჰყო პირი და ისინი მღერიან კიდეცა, თითქოს მთელი დღის განმავლობაში ამის მეტი არაფერი ხსომებიათ-რაო. ვისაც არ უყვარს და არ ესმის სიცოცხლე, აქამდინ დაიბინავებდა კიდეცა. ისინი-კი, ვისთვისაც ძვირფასია სიცოცხლე, აგერ მღერიან...

— მერე ჯანი?.. დავიწყე მე.

— ჯანი ყოველთვის ეყოფა კაცსა. ჯანი!.. განა ფული რომ გქონდეს, არ დახარჯავდი? ჯანიც იგივე ოქროა. იცი რასა ვჩადიოდი ხოლმე მე ჩემს სიყმაწვილეში? დილიდან მოკიდებული მზის ჩასვლამდინ თითქმის შეუსვენებლივ ვიჯექ ერთ ადგილას და ხალიჩებს ვქსოვდი. მე, მზის სხივსავით ცოცხალი და ჯანით სავსე ახალგაზდა ქალი, ლოდსავით ვეგდე ერთ ადგილას. ხშირად ერთ ადგილზედ უნძრევლის გდებით და მუშაობით ძვლებიც კი ამტკივნია და კვნესა დაუწყვიათ. მაგრამ მობინდდებოდა თუ არა, ალალ ირემსავით წამოვხტებოდი და იმისკენ მივრბოდი, ვინც მიყვარდა უსაზღვროთ, ვისი ხვევნა—კოცნა მე არ მომწყინდებოდა და ურომლოდაც სიცოცხლე არც მინდოდა და არც შემეძლო. ცხრა ვერსტი იყო ჩვენს შორის. ახლა ცხრაც დაბრუნებისა იანგარიშე... ეს რამდენი გამოვიდა? აი ასე სამი თვე, სანამ მიყვარდა, ყოველ ღამეს განუწყვეტლივ მასთან ვატარებდი. აბა მიყურე ეხლა, რა ხანს მივაღწიე—მაშ მყოფნია სისხლი? მერე რამდენი მყვარებია ჩემს სიცოცხლეში! რამდენი კოცნა მიმიცია და რამდენი მიმიღია!..

ამ სიტყვებზედ მე ნება—უნებლიეთ გადავხედე იზერგილას. მისი შავი თვალები მაინც ჩამქრალიყვნენ და მოგონებანიც კი ვეღარ აცოცხლებდნენ. მის შავ, დაღმეჭილ პირისახეს მთვარე ანათებდა და მე ნათლადა ვხედავდი მის დამსკდარ ტუჩებს, ჩავარდნილს და ბოლოში დაწკეპტილ ქალარ თმით სავსე ნიკაპს, ბუკნაქას ნისკარტივით მოკაკულ ცხვირს... ლოყების მაგიერ შავი ორმოები-ღა მოსჩანდნენ და ერთ იმათგანში ბედრანგი, გაჭაღარავებული თმა გამოიყურებოდა, რომელსაც წითელ, დაგლეჯილი თავსახვევიდამ გამოეყო თავი. პირზე, კისერზედ და ხელებზე კანი მწარედ დასრესიყო, მის ყოველ მიხვრა-მოხვრაზე მეგონა, აი ეხლა გაიგლიჯება ეს გამხმარი კანი, განადგურდება და ჩემ წინ მხოლოდ ჩონჩხიღა დარჩება თავისი ჩაღრმავებული, ბნელად გამომყურები თვალებით-მეთქი.

— როგორ გიყვარდა, მიამბე!—შევსთხოვე იზერგილს.

მოხუცმა შემისრულა თხოვნა და თავისი ჩახრინწიანებული, ხრიალა ხმით შემდეგი მიამბო:

მაშინ ბირლატის ნაპირზე ვსცხოვრობდი დედასთან. თუთხმეტის წლისა არც კი ვიქნებოდი, რომ ერთხელ მოვიდა ის ნავით და ჩვენ სახლის პირდაპირ გაჩერდა. მაღალი, ტანწვრილი, შავ-ულვაშებიანი და მუდამ მხრიარული მშვენიერ რამეს წარმოადგენდა. ნავში იჯდა და გაჰკიოდა სუფთა ხმით—„ეი, ღვინო ხომ არა გაქვთ... და საჭმელი რამე?“ მე ფიცხლავ ფანჯარაში გავიხედე და იფნის ხეების იქით შემდეგი სურათი დავინახე: მთვარის შუქით განათებული მდინარე ცის-ფრად გამოიყურებოდა და ის კი თეთრს განიერ პერანგში, პრტყელ სარტყელ შემორტყმული ცალი ფეხით ნავში და მეორეთი მიწაზე იდგა. ჰქანაობდა და თან რაღასაც მღეროდა. დამინახა თუ არა, შესძახა—„დახე რა მშვენიერი ქალი თურმე სცხოვრობს აქა და მეკი არ ვიცოდიო!“ თითქოს ჩემ შეხვედრამდის სუყველა ლამაზი ქალი სცნობებოდეს და სცოდნოდეს, ვინ სადა სცხოვრობს. მე ღვინო და მოხარშული ღორის ხორცი მივუტანე... სამი დღის შემდეგ კი მთლად ჩემი თავიც... მთელი ღამეები

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 1751

დაბალიცა და საშუალოც (ცოტათი უმაღლესიც) სამშობლო ენაზე, რუსინელი მოსწავლე ეხლაც იღებს ეროვნულ აღზრდას ეროვნულ პირობებში.

იაპონია. ტოკიოდან იტყობინებიან, რომ იქ დაარსებულა ახალი საზღვაო საზოგადოება, რომლის ძირითადი თანხა 1,500,000 იენს უდრის. საზოგადოებას ექნება სამი გემი. მთავრობა აძლევს ამ საზოგადოებას $6^0/_0$-ის გარანტიას. იაპონიაში დიდის ინტერესით ეკიდებიან ამ ახალ დაწესებულებას, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ იაპონიის განზრახვაა ხელში იგდოს ჩინეთის მდინარეებზე გემების მიმოსვლის საქმე.

პეკინიდან კიდევ უფრო საყურადღებო ცნობას იწერებიან იაპონიის პოლიტიკისა და მოქმედების შესახებ ჩინეთში: 56 არჩეული ახალგაზდა ჩინელი შედის ტოკიოს სამხედრო სკოლაში; ჩინელებს აქ უფასოდ ასწავლიან; სხვა ხარჯს-კი პეჩილიის მმართველი კისრულობს. იუანშიკაის გადაწყვეტი აქვს მოამზადოს ყველა თავისი ოფიცრები იაპონიაში.

როგორც ვიცით, ჯარის ინსტრუქტორებიც იაპონიიდან მოიწვიეს ჩინელებმა. ისიც ვიცით, რომ იაპონიის სხვა სასწავლებლებში მარტო ჩინეთის მთავრობის ხარჯით დიდ-ძალი ჩინელი ახალგაზდობა იზრდება. ყველა ეს გარემოება იმის თავდებია, რომ იაპონიას ახლო მომავალში უდიდესი გავლენა ექნება ჩინეთში და ვინ იცის, იქნება იაპონელ მამულის-შვილების ოცნებაც განხორციელდეს—იაპონია შეიქმნეს ბელადი ყვითელ-კანიან მონგოლებისა საქრისტიანო ევროპის წინააღმდეგ.

სამხრეთ-აფრიკა. პრეტორიიდან დეპეშით იტყობინება, რომ გამილტონის „დიდი ოპერაცია“, ბოტას წინააღმდეგ მიმართული, გათავდა სრულის დამარცხებით ერმოლოს ახლო. მოვუცადოთ უფრო დაწვრილებით ცნობებს.

✡ „ფიგარო“ს ლონდონელი კორესპონდენტი იწერება: „მე გავიგე, რომ დელარეის რაზმი წინააღმდეგი იყო გენერალ მეტუენის განთავისუფლებისა. ზოგიერთ ბურგერმა ისიც კი განიზრახეს, გამოდევნებოდნენ მეტუენს, რომელსაც დელარეის ძმის-წული ახლდა, და უკან დაებრუნებიათ. დელარეი დიდის პატივის-ცემით ეპყრობოდა ლორდ მეტუენს და დაუყოვნებლივ ნება მისცა დეპეშა გაეგზავნა ცოლისათვის.

✡ კაპშტადტიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ სესილ როდსი, რომელსაც სამხრეთ-აფრიკის ომიანობის უმთავრეს მიზეზად სთვლიან, სულ უფრო და უფრო ცუდად ხდება. ინგლისის დედოფალმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა როდსს: „მეტად შემაწუხა თქვენის მძიმე ავადმყოფობის ამბავმა, გევედრები ღმერთს თქვენს მორჩენას“. მეფესა და როზბერისაც გაუგზავნია დეპეშები. ლორდ კიტჩენერმა მოითხოვა, რომ ყოველ-დღე შეატყობინონ მას ამბები. როდსის მორჩენის იმედი აღარ არის.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის უფროსმა საფაბრიკო ინსპექტორმა მოსთხოვა ყველა მეფაბრიკეებს და მექარხნეებს, რომ წარმოუდგინონ მას დაწვრილებით ყველა ანგარიში: რა კეთდება ფაბრიკაში თუ ქარხანაში; ვინა მუშაობს, ქალები თუ კაცები, მოზრდილნი თუ ბავშვნი; რა ეძლევათ სამუშაო ფასი: ჯარიმებს ახდევინებენ და რამდენს და სხვა ყველაფერი. დღეიდან, 15 მარტიდან, **იწყებს მოქმედებას** საფაბრიკო ინსპექცია.

◆ გუშინ ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა უმაღლესის ბრძანებით შემახიის დაზარალებულთა დასათვალიერებლად გამოგზავნილი ფლიგელ-ადიუტანტი თავადი **ობოლენსკი.**

◆ ტფილისში დაბრუნდა პეტერბურგიდან საზეითალო სამმართველოს გამგე კავკასიაში ბ. **ზოლოტარიოვი.**

◆ საზეითალო დეპარტამენტმა აცნობა კავკასიის საზეითალო სამმართველოს, რომ ქალაქ ჩიტადან გამოგზავნილია ტფილისში 400,000 მილება (კერძი) **საქონლის ჭირის წინააღმდეგი სითხისა.**

◆ ბრიუსელიდან ტფილისში გამოუგზავნიათ ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოების ადმინისტრატორი **ინჟენერი რინმუნსკი,** რომ გაათავოს ქალაქთან საქმე შესახებ ელექტრონის ტრამვაის გაკეთებისა ტფილისში.

13 მარტის სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება საქმის მწარმოებელის ნ. არვანიტაკისა იმის შესახებ, რომ ტფილისის დედათა 1-ლ გიმნაზიაში მე-VII კლასის მოწაფე ქალის ას. აბრამიანცის გამოსვლის გამო **განთავისუფლდა** ქალაქის ხარჯით არსებული **სტიპენდია.** გამგეობამ ამ სტიპენდიის მისალებად განიხილა რამდენიმე თხოვნა. სულ მთხოვნელებთაგან სტიპენდიის მიღების ღირსად ცნობილი იქმნა 34 ქალიშვილი. კენჭის ყრით სტიპენდია ერგო აღნიშნულ გიმნაზიის მე-V კლასის მოწაფეს ეფემია შუაქრიშვილს.

◆ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული კავკასიაში შეუდგა არხივის საქმეების შესწავლას, **სოლოლაკის გვირაბის** გათხრის გამო. მთავარ-მართებლის კანცელარიის არხივში აღმოჩნდა ამის შესახებ საინტერესო ცნობები. სხვათა შორის, არხივის საქმეებიდან სჩანს, რომ უწინდელ მთავარ-მართებელს თავად ვორონცოვს მიუქცევია ყურადღება აბანოების წყლებისთვის და ამ მთების გამოკვლევისთვის. ამეების გამოკვლევა მთავარ-მართებელს მიუნდვია იმ დროში გამოჩენილ გეოლოგ აბიხისათვის. არხივის ქაღალდებში ისიც არის მოხსენებული, რომ რადგანაც იმ დროში ნასწავლი გეოლოგები ძალიან ნაკლებად მოიპოვებოდა კავკასიაში (თითქმის სულ არ იყვნენ), თავადი ვარანცოვის განკარგულებით, სოლოლაკის მთის გამომკვლეველ კომისიაში მოუწვევიათ, სხვათა შორის, უბრალო, მაგრამ გამოცდილი, ორი ქვის მჭრელი და გამთლელი. ვნახოთ, რა დასკვნას დაადგებოდა ძველებური კომისია.

◆ ქუთაისის გუბერნიის მმართველი **ოფიციალურად აუწყებს** კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ 11 მარტს დაბა ონში მომხდარი მიწის-ძვრისაგან ძალიან ცოტად არის დაზიანებული შენობები, რომლებიც ოდნავ გაბზარულა; სოფელ სომიცოში, რომელიც 111 სახლიდან შესდგება, ძალიან ცოტა ზიანი მოუხდენია; თორმეტ სახლში ბუხრები ჩამოქცეულა და კედლები ოდნავ დაბზარულა, 9 სახლში ზოგისა კედელი ჩამოწოლილა და ზოგისა საძირკველი შერყეულა. ყველა მცხოვრებლებს აქვთ თავშესაფარი. დახმარება არ არის საჭირო. ყველაზე ძალიან საყდარია დაზიანებული.

◆ დღეს, 15 მარტს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის პოლიცმეისტრის თანდასწრებით სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **ცეცხლის მქრობელ რაზმის** მოწყობის საქმე. კომისიამ უნდა განიხილოს პოლიცმეისტრის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქში ორის ცეცხლის მქრობელ რაზმის შესანახავად.

◆ რამდენიმე ხნის წინად ორთაჭალის ბაღის მოიჯარადრეთ მიუმართავთ თხოვნით კავკასიის მთავარ-მართებლისათვის, რომ ტფ. ქალაქის გამგეობას მიეღო თავზე ორთაჭალის კუნძულებსა და ვორონცოვის ქუჩას შუა სამუდამო ქვეითად სასიარულო **რკინის ხიდის** გაკეთება, რათა მცხოვრებლებს უშიშრად შეეძლოთ ბაღებში გასვლა. გუშინ ტფ. გუბერნატორმა მისწერა ქალაქის თავის მოადგილეს: რადგანაც დიდის ყურადღების ღირსია აღნიშნულ ადგილას ხიდის გაკეთების შესახები საკითხი, ამიტომ წინადადებას გაძლევთ, განსახილველად წარუდგინოთ იგი ტფილისის საბჭოს ახლო მომავალში და შემდეგი საბჭოს გარდაწყვეტილებისა მაცნობოთო.

◆ ქალაქის ტეხნიკოსმა შეიმუშავა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის საყასბოსთან **საქონლის ბაკების** აშენებისა. ამ ბაკებში, რომელიც ფიცრულით იქნება დახურული, უნდა გაიმართოს საჩაიე, აშენდეს შენობა ტრაქტირისათვის და ოთახები საქონლის პატრონებისათვის. ეს ბაკები დაიჭერს მოედანს სივრცით 2,000 ოთხ-კუთხ საჟენს. ხარჯი სულ მოუნდება ამ შენობების გაკეთება-მოწყობას და ამასთანავე მოედნის ქვით მოკირწყვლას 11,114 მან.

◆ გუშინ გამგეობის წევრმა ბ. ენფიანჯიანცმა დაათვალიერა სატივოზე ის ადგილი, რომელსაც სასულიერო უწყება სთხოვს ქალაქს, რომ ამ ალაგზე **სამლოცველო აშენდეს** მეტივეებისათვის.

◆ ერთის ფარნების გამსყიდველ სავაჭრო სახლის წარმომადგენელმა ბ. სპირომ მიმართა ქალაქის გამგეობას, რომ ქუჩების გასანათებლად ის დასდგამს **ვაშინგტონის ფარნებს,** რომლებიც ძალიან კარგად ანათებენ და ძალიან იაფადაც დაუჯდება ქალაქს, ვიდრე ელექტრონით განათება ანუ გალკინის და კიტსონის ფარნებით. ბ. სპირო ამტკიცებს, რომ ერთი ელექტრონის ფარნით განათება დაჯდება 15 კაპ., მაშინ როდესაც ვაშინგტონის ერთი ფარნის ხარჯი ბევრი-ბევრი 3 კაპ. ან $3^1/_2$ კაპ. ავიდეს. ამ გვარად ქალაქი იგებს თითქმის $80^0/_0$. გარდა ამისა, ვაშინგტონის ფარანს თეთრი, უვნებელი თვალისთვის, შუქი აქვს და სწორედ შეუნძრევლად ანთია, მაშინ, როდესაც ელექტრონის ფარანი ხშირად ბჟუტავს, ალი ირყევა და თვალს საშინლად სჭრის, ახდენსო. ამასთანავე თავდებად დგება ბ. სპირო, რომ ფარანი ვაშინგტონისა დიდს შეღავათს მისცემს ქალაქის ხარჯის მხრით და სინათლეც შეუდარებელი იქნება; წინააღმდეგ შემთხვევაში სპირო კისრულობს ყოველ გვარ ფულის ჯარიმას.

◆ ჩვენ გადმოგვცეს შემდეგი **ახალი ამბავი:** კავკასიის გამოფენის „ხალხის გასართობ განყოფილებისაგან“ რაღაც საიჯარო საქმეები აუღია ტფ. მცხოვრებს ისააკ დანდუროვს. ახლა ამ დანდუროვს ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან საჩივარი შეუტანია სამეურნეო საზოგადოებაზე—1000 მანეთი მართებს და გარდაახდევინეთ ჩემს სასარგებლოდაო. საქმის გარჩევაზე დასასწრებლად მოსამართლეს უწყება გაუგზავნია გამოფენის ყოფილ კომისარის თავ. ანდრონიკაშვილისათვის, რომელსაც ამ საქმეში პასუხის საგებლად სამეურნეო საზოგადოებისაგან არავითარი რწმუნების ქაღალდი არ ჰქონია. თავ. ანდრონიკაშვილი სასამართლოში საქმის გარჩევას დასწრებია, მაგრამ მოსამართლეს მაინც დაუსწრებელი განჩინება შეუდგენია. დანდუროვი ორი კვირის შემდეგ აღმასრულებელ ფურცლით სამეურნეო საზოგადოებას დაეცა თავს და განუცხადა: ეს ფული მერგება, გარდამიხადეთ, თორემ ქონებას აგიწერთო. სამეურნეო საზოგადოებას მხოლოდ ამ დღეს გაუგია, რომ მაზე საჩივარი ყოფილა შეტანილი სასამართლოში.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებულს მოუვიდა მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან 1000 ცალი წიგნაკებისა, რომელიც უნდა გავრცელებულ იქმნას ქუთაისის გუბერნიაში, სადაც უმთავრესად გავრცელებულია ხორბლეულობის გაოხრება **ჩრჩილისაგან.** წიგნაკში აწერილია, თუ როგორი საშუალება უნდა იქმნეს მიღებული, რომ მეურნეთ ჩრჩილი არ უფუჭებდეთ ხორბლეულობას ბეღლებში.

◆ ახალქალაქის მაზრის სახელმწიფო ქსენონის გამგედ დაინიშნა ექიმი ნიკ. **ზელინსკი.**

◆ უმთავრესმა სენატმა, ერთი საქმის გამო, განუმარტა ტფილისის გუბერნიის სამმართველოს, რომ საგუბერნიო სამმართველოს სანსაკუთრებულს საკრებულოში, როდესაც ამოწმებენ სულით ავადმყოფებს, რომ მათზე აპეკა დანიშნონ, უსათუოდ მოწვეული უნდა იყოს საკრებულოში რჩევაზედ

სულ ნავით დავსეირნობდით. მოვიდოდა და მციყვსავით ჩუმათ დაუსტვენ'და—ეს ნიშანი იყო ჩვენი—მე ერთს წუთს თევზსავით გადავფრიალდებოდი ფანჯარაში და თვალის დახამხამებამდინ ნავში გავჩნდებოდი... და მერე წავიდოდით... მეთევზეთ იყო პრუტზე და მერმე, როცა სუყველაფერი გამიგო დედამ და კარგათ მიმბეგვა, ის ჩამციებოდა გამომყე, ლობრუჯაში წავიდეთ და იქ ვიცხოვროთო, მაგრამ მაშინ მე ის აღარ მომწონდა... მღეროდა მარტო და მკოცნიდა, მეტი კი არაფერი! მომწყინდა ესეთი ცხოვრება. იმ დროს ყაჩაღობა იყო ჩვენ მხარეს გახურებული და თითქმის ყველა მათგანს საყვარელი ჰყავდა სოფელში. აი იმათა ჰქონდათ მხიარული ცხოვრება!.. ზოგიერთი მათგანი ელის, ელის თავის რაინდყაჩაღს გულ-გადალეული... რას არ იფიქრებს ამ დროს ახალგაზრდა შეყვარებული გული? აი მოჰკლეს და დაბურულ ტყის პირას ჰგდია უპატრონოთ, ან სატუსაღოში ამოჰყო თავი და, დღეს თუ არა, ხვალ სახრჩობელა ელის, ან გაჭირვებულ მდგომარეობაშია და შველა სჭირია... ამ ფიქრისა და დარდის დროს უცბად, თითქოს ზეციდან ჩამოვარდაო, ორი-სამი ამხანაგით კი მოადგება კარზედ. ახლა რამდენს საჩუქრებს მოუტანს?—მე შენ გითხრა, თითონ ძვირად უჯდებოდათ მათი შოვნა! მოვა შეყვარებული ყმაწყილი და გაიმართება ქეიფი. იმ დღემდინ დაღვრემილი და დაბნელებული სახლხი უცბათ აივსებოდა სიხარულისა და ბედნიერების ხმითა. ისე მომწონდა მე ასეთი ცხოვრება, რომ ერთს ჩემ მეგობარს ვსთხოვე შორიდან მაინც დაენახვებინა ჩემთვის ერთი იმათგანი... რა ერქვა იმ ჩემ მეგობარს? არ მახსოვს... ეხლა სუყველაფერი მავიწყდება... განა დრო არ არის? რამოცდა ათი წელიწადი მაინც გავიდა მას შემდეგ! შემისრულა ჩემმა მეგობარმა თხოვნა და გამაცნო ვისაცა ვთხოვდი. წარმოსადეგი და ჩასხმული ვაჟკაცი იყო, ულვაშები და მშვენიერი ხუჭუჭი თმა იქამდის რიჟა ჰქონდა, რომ გეგონებოდა, ცეცხლი წაჰკიდებია თავსაო... ასეთი ახოვანი ვაჟკაცი შესანიშნავი ჩუმი და მშვიდი კაცი იყო—ათასში ერთხელ თუ მომეალერსებოდა, მაგრამ სანაცვლოდ, ზოგჯერ სულ გადირეოდა და მთელი დღის განმავლობაში მხეცსავით დრტვინავდა და იღრინებოდა. ერთხელ შიგ სახეში ჩამცხო მუშტი... დედალ ვეფხსავით შევახტი გულზედ და ლოყაში კბილებით ჩავაფრინდი... მას შემდეგ ნიშნად დარჩა ეს ნაკბენი და ძრიელ უყვარდა, როცა ამ ნაკბენ ადგილს ვკოცნიდი ხოლმე...

— მეთევზე რაღა იქნა?—დავეკითხე მე.

— მეთევზე?... ჰო... ისიც იმათ შეუერთდა და ყაჩაღობდა. პირველად სულ მემუქრებოდა, წყალში გადაგაგდებო, მაგრამ მალე დამანება თავი და თითონაც სხვა გაიჩინა... მერე ერთად ჩამოახრჩეს ისიც და ჩემი ყაჩაღიც... „კლესტს“ ეძახოდნენ ჩემსას. მეც წაველი სანახავად, როცა ახრჩობდნენ... ლობრუჯაში იყო ეს ამბავი. მეთევზე გადაფითრებული მიდიოდა და სულ სტიროდა გზაში. ჩემი „კლესტი“ კი თუთუნს ეწეოდა თავისუფლად—ხელები ჯიბეში ჩაეწყო, კბილებში ჩიბუხი დაეჭირა, ცალი ულვაში ლოყაზე გადაედო და მეორე კი ქვემოთ ჩამოკიდებოდა. დამინახა თუ არა, გამოიღო პირიდან ჩიბუხი და „მშვიდობითო!“ დამიძახა. მთელი წელიწადი ვნანობდი საწყალს... ეს მაშინ მოხდა, როცა მთაში გასვლის წინ ერთ რუმინელს ეწვივნენ გამოსათხოვებლად—იქ დაიჭირეს საცოდავი. ორის მეტი კი მაინც ვერ დაიჭირეს, რამდენიმე მოჰკლეს და დანარჩენნი კი გაიქცნენ და გადაიკარგნენ... რუმინელს კი თავისი ვერაგობა მაინც არ შერჩა—სახლი, წისქვილი და მთელი სარჩო-საბადებელი სულ მთლად გადაუბუგეს და ერთ მშვენიერ დღეს გლახად აქციეს...

— ეგ შენი საქმე იქნებოდა? დავეკითხე მე.

— ჩემს გარდა, იმათ სხვაცა ჰყავდათ მეგობარი... ვინც უფრო კაი მეგობარი იყო, იმან გადუხადა სამაგიერო...

ზღვის პირას სიმღერა შესწყდა და მოხუცის აკომპანიმენტს ტალღების ხმაურობა-ღა შეადგენდა. მოხუცის შფოთიან წარსულის ამბავს ზღვის მრისხანე ღელვა-ჩხრიალი სწორედ, რომ მშვენიერს აკომპანიმენტს შეუდგენდა. ზღვის ნაპირიდამ ძლივსღა ისმოდა ხალხის ლაპარაკი და სიცილი. ღამე ლბილდებოდა თითქოს და მთვარის ცის-ფერი შუქი თან-და-თან უფრო ვრცელდებოდნენ, ძლიერდებოდნენ; მოუსვენარი ცხოვრების გამოურკვეველი ხმაურობა-კი ზღვის მხრივ ხმაურობაში იკარგებოდა და ილუპებოდა... რადგან ქარი წუთიდამ წუთზე ძლიერდებოდა.

— ერთი თათარიც მიყვარდა მას შემდეგ. ჰარამხანაში ვყავდი—სკუტარში. ერთი კვირა მეტი ვსცხოვრებდი მასთან... მაგრამ მალე მომწყინდა... მარტო ქალები იყვნენ იმ ვერანაში... რვა ქალი ჰყავდა... მთელი დღეები ან სჭამდნენ, ან ეძინათ და ან რაღაც სისულელეებზედ ლაპარაკობდნენ... გინებას რომ მორთავდნენ, გეგონებოდა ქათმები კაკანებენო... ის თათარი ყმაწვილი აღარ იყო. ჭაღარა უფრო მეტი ჰქონდა თმაში, მაგრამ ყოველი მიხვრა-მოხვრით და სიარულით არწივსა ჰგავდა... შავი, დიდრონი თვალები ჰქონდა.... როცა იყურებოდა, გეგონებოდა შიგ სულისა და გულის სიღრმეში იხედებაო და რაც სხვისთვის უხილა-

დასასწრებლად **სამი ექიმი**, რომელთა დაუსწრებულობის გამო, საკრებულოს დადგენილება უკანონოდ ითვლება.

◆ ორის დღის წინად ტფ. გუბერნატორი შეეკითხა ტფ. ქალაქის გამგეობას, ექნება რამე გამგეობამ იმის საწინააღმდეგოდ, რომ მე-7 და მე-6 საპოლიციო ნაწილების სხვა-და-სხვა ადგილებში ისეც ტიგრანოვს, სტეფან მირზოევს, კარლ-კონს და გერმან ნავტიკს მიეცესთ ნება, გახსნან საპნის ქარხნები? გუშინ გამგეობამ შეატყობინა გუბერნატორს, რომ გამგეობას ამის საწინააღმდეგოდ არაფერი ექნება, თუ აღნიშნულნი პირნი დაექვემდებარებიან არსებულ სამკურნალო სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათ.

◆ ხვალ, 16 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს შემდეგ საქმეებს: პავლე მელიქიშვილისას, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება, ივანე კოლხიტაშვილისას, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება; კალისტრატე ჩხეტიანისა, ვასილ დაბარაშვილისა და სხვათა, რომელთაც სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენა ბრალდებათ.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, 13 მარტს, ტფილისის მცხოვრებ ალიევისათვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს სხვა-და-სხვა ნივთები, სულ 160 მან. ღირებულობისა. ქურდობაში ეჭვი არავიზე არა აქვთ.

ქუთაისის ახალი ამბები

~ ოთხ მარტს საბჭოს მორიგი კრება არ შესდგა, რადგან ხმოსანთ კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა. სამაგიერო სხდომა მარტის 18 რიცხვსაა დანიშნული.

~ აქაურ ინტელიგენციას განუზრახავს საკვირაო სკოლასთან სახალხო კითხვები გაიმართოს. თუ შესაძლებელი მოხდება, ამისათვის ცალკე დარბაზიც ჰსურთ საკვირაო სკოლასთანააგონ. ამ საჭიროების განსახორციელებლად კიდეც მიუმართავთ საეპარქიო მთავრობისათვის.

~ ქუთაისში ტრამვაის გამართვის პროექტი უკვე წარდგენილი იყო სამინისტროში განსახილველად. როგორც გვითხრეს, ეს პროექტი სამინისტროს გაუსინჯავს, რამდენიმე ნაკლი უპოვნია იქ და ამის შესასწორებლად და შესავსებად ისევ დაუბრუნებია ქალაქის გამგეობისათვის. კარგი იქმნება დროზე განიხილავდნენ და, რაც შესასწორებელია, შეასწორებდნენ.

~ ახალ-ხმოსანთა ამომრჩევლების სია ქალაქმა უკვე დაამზადა და გამოაკრა ქუჩებში. სულ 728 მეკენჭეა, რომელთაც 1902—1906 წლებისათვის ხმოსნები უნდა აირჩიონ.

~ ჩვენ ქალაქს დიდი ადგილები აქვს, ეგრედ წოდებული „სადორია“. ზოგი ნაწილი ამ ადგილებისა სახნავ-სათესია, ზოგიც—ტყიანი. სახნავ-სათეს ადგილებს ქალაქი იჯარით აძლევს. ამ თვის 8 რიცხვს ქალაქს გაჭრობა ჰქონდა ამ ადგილების იჯარით გასაცემად. დანიშნულ დღეს ბევრი მსურველი-მოიჯარადრე გამოჩნდა, მაგრამ არა სახნავ-სათესად: ხალხმა ითხოვა სამოსახლოთ მოგვეცით ადგილებიო. ქალაქმაც მოიწონა ხალხის სურვილი და საყანე ადგილები ნაწილ-ნაწილად დაუჭრიათ სამოსახლო ადგილებად, თითო ნაჭერი 200 ოთხ-კუთხი საჟენი და ფასი დაუდვია ქალაქს ამისთანა თითო ნაჭერზე ერთი თუმანი და სამი აბაზი. გაჭრობით ფასი ავიდა 22 მანეთამდე.

საყანე ადგილებში ქალაქი ერთ დესეტინაზე ხუთი მანეთიდან ერთ თუმნამდე იღებდა. ცხადია, სამოსახლო ადგილებად გაცემით ქალაქი გაცილებით მეტს იჯარას აიღებს „სადორია“-დან და ღარიბი ხალხიც ბინას შეიძენს ქალაქის განაპირა ადგილებში.

რადგან ამ ადგილების მსურველი ბევრი აღმოჩნდა, ქალაქი კიდევ აპირებს „სადორია“-ს საყანე გილები სამოსახლო ადგილებად დაჭრას და ისე იჯარით გასცეს.

~ 11 მარტს საოლქო სასამართლოში ერთი ახირებული საქმე გაირჩა.

როგორც ბრალმდებლის ოქმიდან აღმოჩნდა, შარშან, 21 მარტს, „ევირილა“-ს სადგურზე სოფ. ბანძის (სამეგრელოში) მცხოვრებელმა დათიკო დანელიამ ჯიბიდან ორი თუმანი და 23 კაპეიკი ამოაცალა შორაპნის მაზრის მცხოვრებელს ერმილე რობაქიძეს სწორედ იმ დროს, როცა რობაქიძე მატარებლის ვაგონიდან გამოდიოდა.

დანელიამ თავის დანაშაული წრფელის გულით აღიარა და ისიც დაუმატა, რომ ქურდობა ვაგონში-კი არ ჩამიდენია, გარედ, სადგურის ბაქანზედ ამოვაცალე რობაქიძეს ფულებიო.

სასამართლომ ოთხის თვით ციხეში ჩაჯდომა მიუსაჯა დანელიას და თან გააფრთხილა: „მეორედ თქვენს ჩვეულებას ნუ გამოიჩენთ“-ო.

~ 12 მარტს, ღამით, ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა, ეგრედ წოდებულს „არქიელის“ გორაზე, ექიმის დ. ნაზაროვის სახლი, რომელიც გაქირავებული იყო. მდგმურთ ძლივს თავი დააღწიეს და გამოსვლა მოასწრეს ცეცხლით მოდებულ სახლიდან.

~ მოუხშირეს ცარცვა-პარვას და სავაჭრო სახლების გატეხვას. 10 მარტს, ღამით, კიდევ გასტეხეს ს. ციბაძის მაღაზია, საათებისა და ძვირფას ნივთების ვაჭრისა. ქურდებმა იმით ისარგებლეს, რომ კვირა დღე იყო, მაღაზია დაკეტილი იყო. ეზოდან შეპარულან, კედელი გამოუნგრევიათ და 12 ათას-მანეთამდე საქონელი გაუტანიათ. პატრონს ეჭვი არავისზე მიუტანია, გამოძიება სწარმოებს.

დაბა-სოფლები

ბაილეთი (ოზურგეთის მაზრა): აქ მოხდა მეტად სამწუხარო ამბავი: 30 ოქტომბერს 1901 წ. კნ. ნ. გ—ის სახლიდან სადღაც გაჰქრა მობარებული პატარა 7—8 წლის ბავშვი, ელენტია უაჭიეშვილის ასული. მას შემდეგ, როგორც კნეინა, აგრეთვე საწყალი ქალის ნათესავები და პოლიცია გაფაციცებით დაეძებდნენ, მაგრამ ვერ იპოვნეს. ამ წლის 15-ს იანვარს შდ. სუფსის პირად, ჩოჩხათის საზოგადოებაში წყლისაგან გამორიყული იპოვნეს საწყლის თავის ქალა; თურმე საწყალს გოგოს ადიდებულ სტიქიონისათვის მიეცა მსხვერპლად თავისი თავი.

—

ჯუმათი (ოზ. მაზრა): უბედურება ეწვია აქაურ გლეხის სპირიდონ ბილიხაძის ოჯახს: 9 ამ მარტს, საღამოს 10 საათზე, სპირიდონის ცოლი, ფატმანი, ანთებული სანთლით შევიდა ბოსელში პირუტყვის დასათვალიერებლად; უეცრად სანთელის ალი ბოსელში ჩალას მოხვდა და ცეცხლი მოედო მთელ შენობას. ყვირილზე მოცვივდნენ მეზობლები; სპირიდონის ძმა გიორგი, შევარდა სახლის სახურავზე, მაგრამ ცეცხლის ალმა მოუსწრო და უზომოდ დაასახიჩრა; საწყალი გიორგი მეორე დღეს კიდევაც გარდაიცვალა; მას დარჩა წვრილი ცოლ-შვილი. ულმობელმა ცეცხლის სტიქიონმა გაანადგურა სპირიდონის სახლ-კარი და ყოველი საოჯახო მასალა.

—

ს. კახათი (ზუგდიდის მაზრა): 7 მარტს, კახათის სოფლის მცხოვრები გლეხი გ. ოყუჯავა ვაჟიანად მეზობლის სახლში წასულა მიცვალებულის ღამის სათევად, სახლში-კი მარტო ქალები დარჩენილან. თურმე ამას უთვალთვალებდნენ შორი-ახლოდან ბოროტ-მოქმედნი და აი ღამის მეათე საათზე კარები ნელა შემოაღო შვიდმა შეიარაღებულმა ვაჟბატონმა. თავზე ხელაღებულმა ვაჟბატონებმა ქალებს ერთი კუთხე მიუჩინეს და უბრძანეს: კრინტი არ დასძრათ, თორემ ლუკმა-ლუკმად გაქჰკუჭვთო; მიჰყვეს ხელი გაჩხრეკას, მაგრამ, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდათ—ას სამოცი მანათის მეტი ვერ ნახეს: სამი ათასი გვითხრესო და ცოტა ფულისთვის გაგვისვრია ხელიო! წაუღიათ ეს ფული, ქალების კაბა-თავსახურავები, თეთრეულობა და სხვა-და-სხვა ნივთეულობა.

პოლიცია დაძებს ბოროტ-მოქმედთ, მაგრამ ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

პრესსა

„ნოვ. ვრემია“-ს, როგორც ვიცით, ყველგან მოღალატეები და ღალატი ელანდება. უკანასკნელ დროში გაზეთი ძალიან ჩააცივდა კიევისა და ვილნოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ. სამეურნეო საზოგადოება, აბა რა არის, რა პოლიტიკური ძალა აქვს, რომ იქ „საშიშმა ღალატმა“ იჩინოს თავი?! მაგრამ სუვორინის გაზეთმა გამოსძებნა მოღალატენი და დაჰკრა ბუკი და ნაღარა: პოლონელები სდევნიან რუსებსა და არ აყენებენ საზოგადოებებშიო... ასეთმა ბრალდებამ, სასიამოვნოდ, ცუდათ ჩაუარა „ნოვ. ვრემია“-ს და სუვორინი მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. საქმე ის არის, რომ ვილნოს „მოღალატე-პოლონელების“ დამცველად გამოვიდა... ვილნოს გუბერნატორი, საპატიო ოპეკუნი გენ.-ლეიტ. ფონ-ვალი. ავტორიტეტული დამცველი კატეგორიულად აცხადებს იმავე „ნოვ. ვრ.“-ში, რომ „არავითარს ღალატს“, არც „უბრალო მიდგომასაც“ არა აქვს ადგილი სამეურნეო საზოგადოებაშიო; პოლონელნიც და რუსებიცა თავისუფლად და თანხმობით მუშაობენო და „ნოვ. ვრ.“-ს გადმოცემული ამბები მხურვალე ფანტაზიის ნაყოფი არისო.

რამდენი ამისთანა „ფანტაზიის ნაყოფი“ გაუსაღებია „ნოვ. ვრ.“-ს, რამდენი ამისთანა „ოპროვერჟენიე“ მოუნელებია? ამასაც ადვილად მოინელებს და კიდევ ბევრ „ღალატს“ გამოაცხობს!..

რუსეთის ქრონიკა

« პეტერბურგის გაზეთები მეტად საყურადღებო ამბავს იტყობინებიან: მთავრობას განზრახვა აქვს მოიწვიოს პეტერბურგში კრება მთელის რუსეთის პედაგოგებისა და ყველა იმათი, ვინც დაინტერესებულია მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში.

« საერო განათლების სამინისტრო აარსებს შორეულს აღმოსავლეთში ოთხ საშუალო სამრეწველო სასწავლებელს.

« მიწად-მოქმედების სამინისტროს სამეურნეო საბჭოს ამ წლის სესსია განიხილავს, სხვათა შორის, საკითხს, თუ როგორ გააადვილონ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა და ამხანაგობათა დაარსების საქმე და აგრეთვე საკითხს იმის შესახებ, რომ ყველა დიდ სავაჭრო ცენტრებში საზღვარ-გარედ დაარსებულ იქნას სააგენტოები იქაურის ბაზრის შესასწავლად და საჭირო სამეურნეო ცნობების შესაკრებად.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია ოზურგეთში

7 მარტს განხილულ იქმნა ჯვარ-ცმის საზოგადოების მცხოვრების ნ. უნგიაძის, მისი მეუღლის და ილ. ჟღენტის საქმე. პირველს ამათგანს ბრალად ედებოდა უაქციზოთ არაყის გამოხდა, მეორეს მოხმარება პირველისა, ხოლო მესამეს ის, რომ მან მთავრობას არ აცნობა ეს ამბავი. აქციზის მოხელეთა ჩვენებით გამოირკვა, რომ უნგიაძე დამით შენობაში არაყს ჰხდიდა. როცა ისინი ჩუმათ შიგ შევიდნენ, მან მოხადა ქვაბს თავი; არაყს გაუჩნდა ცეცხლი და მთელი შენობა გადაიწვა. მერე ნამწვავებში გამოუთრევიათ ქვაბი და დაუბეჭდიათ. უნგიაძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი: მიუსაჯეს 2 თვე ციხე და ჯარიმაც 300 მანეთამდე.

იმავე დღეს გაირჩა ჯურუყვეთის უოფილი მამასახლისის სოლ. ნინიძის საქმე. ნინიძეს ბრალად ედებოდა სამსახურის დროს ქრთამის აღება. მაგ., ნინიძეს გასამრჯელოდ აუღია სოფლის მსაჯულების აღმასრულებელი ფურცლის სისრულეში მოსაყვანად ერთი ქვრივისაგან შვიდი მანეთი, ე. ი. ასადები ვალის მეათედი. და სხვა წვრილმანი ქრთამეკები, მაგრამ სხვა არ დამტკიცდა, ხოლო შვიდი მანეთის აღებაში თვითონ გამოტყდა, რისთვისაც მიუსაჯეს 10 მან. ჯარიმა. ეს განაჩენი მთელი გურიისათვის საყურადღებოა. როგორც დაბეჯითებით ვიცით, აღმასრულებელი ფურცლის სისრულეში მოსაყვანად ბევრი მამასახლისი იღებს მეათედს. ამბობენ, რომ ეს კანონით გვერგებაო. თურმე უკანონო გადასახადი ყოფილა.

კალისტრატე ჩიკვაიძე ჰყავდა დამცველად მოწვეული ასკანის მცხოვრებს თ. თალაკვაძეს, რომელსაც ბრალად ედებოდა კორ. ნინიძის სასიკვდილოთ გამეტება და ნინიძისავე ცოლის სიკვდილი.

როგორც გამოირკვა, თალაკვაძეს და ნინიძეს ერთმანეთში უსიამოვნება ჰქონიათ. 1900 წელს

ვია და ამოცანა, მისთვის აშკარაა და ცხადიო. პირველად ბუკურეშტში შევხვდი... მედიდურად დადიოდა ბაზარში და მეფესავით იყურებოდა აქეთ-იქით... პირველ შეხედვითვე მომეწონა და ნება-უნებლიეთ გავუღიმე... იმ საღამოსვე ხელი მტაცეს ქუჩაში და იმასთან მიმიყვანეს. თურმე ალვისა და ბზის ხით ვაჭრობდა და ბუკურეშტში რიღასიც სასყიდლათ ჩამოსულიყო. „წამომყვები თუ არა?“ დამეკითხა, როცა მიმიყვანეს. დიდის სიამოვნებითა მეთქი—მიუგე. „მაშ კარგი!-ო“ და იმ დღესვე წამიყვანა თავისთან. ძალიან მდიდარი იყო. ერთი შვილიცა ჰყავდა—შავი და მარდი ბიჭი იყო... თექვსმეტის წლისა იქნებოდა მაშინ. დავკარით მე და იმან ფეხი და გავიქეცით... ცოტა ხანს უკან ბოლგარიაში ამოვყავით თავი—ლომპალანკში... იქ ერთმა ბოლგარელმა ქალმა დანა დამარტყა გულში... არ მახსოვს, საქმროსა თუ ქმრის გულისთვის—დიდი ხანი ვავადმყოფობდი. ერთს ქალთა მონასტერში მომათავსეს, სადაც ერთი პოლონელი ქალი მივლიდა... იმასთან მეორე მონასტრიდან ერთი პოლონელივე ბერი დაიარებოდა... მცურავივით იხლაკნებოდა ჩემ წინ... და როცა მოვრჩი, იმას გავყევი... პოლონეთში.

— დაიცა, ის პატარა ბიჭი რაღა იქნა?

— ბიჭი?.. მოკვდა საწყალი... არ ვიცი, სამშობლოს მოშორება ვერ აიტანა, თუ სიყვარულმა მოუღო უდროოთ ბოლო... ეს კია, რომ იმ ქორფა ხესავით, რომელსაც მეტად ბევრი მოუვიდა მზის სხივები, ნელნელა დაიწყო ჭკნობა და მერე ხომ სულიც განუტევა... მახსოვს, საწყალი ჩონჩხსა-ღა ჰგავდა, მაგრამ სიყვარული კი მაინც არ გამოლეოდა გულში... ისე მთხოვდა კოცნას, როგორც მოწყალებას... მე ძალიან მიყვარდა და, კარგად მახსოვს, ბევრსა ვკოცნიდი... ბოლოს კი სულ ცუდათ წავიდა იმის საქმე—საცოდავი ვეღარც კი ინძრეოდა. იწვა უნძრევლად და სულ იმას მეხვეწებოდა, რომ გვერდზე მივწოლოდი და ცოტათი მაინ გამეთბო იმისი გაყინული ტანი. მეც, რასაკვირველია, შევუსრულებდი ხოლმე თხოვნას. მიუწვებოდი თუ არა... უცბად ცეცხლივით აენთებოდა და აპილპილდებოდა. ერთხელ გავიღვიძე და გაციებულიყო კიდეცა... მომკვდარიყო საცოდავი... ოო, მაშინ კი ბევრი ვიტირე. ვინ იცის, იქნება მეც ვიყავ იმის სიკვდილის მიზეზი? ორჯერ უფროსი ვიყავი მასზე და ძალღონით სავსე. ისეთი ტანი მქონდა, რომ მე თითონ ვსტკბებოდი ხოლმე იმის ცქერით... ის კი რა იყო?.. ბავშვი!..

მოხუცმა ღრმათ ამოიოხრა და ჩუმის ბუტბუტით სამჯერ პირჯვარი გამოისახა, რაც პირველად შევნიშნე მე მასა.

— მერე? დავეკითხე, როცა დავინახე, რომ გაჩუმდა, პოლონეთში წახველი?

— ჰო... ი პატარა პოლონელს წავყევი. ოო, მეტის-მეტი უსინიდისო რამ იყო ის წყეული. თუ უნდოდი, კატასავით მელაქუცებოდა და თაფლივით ტკბილ ლაპარაკს არ მომაკლებდა, მაგრამ მოვყიჭრდებოდი თუ არა, ლახტზედ უფრო ძლიერ სიტყვებს გადმომკრავდა ხოლმე. მახსოვს, ერთხელ წყლის პირით მოვდიოდი და ჩვეულებრივათ ლახტი გადმომცხო. ეს კი, მეტის-მეტი იყო! ლომივით გააფთრებულს, როგორც ნავთს ისე წამეკიდა ცეცხლი! მსწრაფლად დავავლე ხელი, პატარა ბავშვივით ავიტაცე და ისეთი მუხრუჭები მოვუჭირე გვერდში, რომ მთლად გალურჯდა. მერე გადავიქნიე და დაუნდობლივ წყალში გადავისროლე. ის ღრიალებდა, მაგრამ მე სიცილითაც არ მყოფნიდა... როცა წაველი, ის კიდევ ყურჰუმელავობდა წყალში... მას უკან, აღარ შევხვედრივარ. ამ მხრივ კი სწორედ ბედნიერი ვიყავი. იმათ, ვინც მიყვარდა ოდესღაც, მე არასოდეს აღარ შევხვდებოდი ხოლმე. არ მომწონდა ასეთი შეხვედრა—ეს იმასვე ნიშნავს, რომ მიცვალებულს შეხვდე—ვისთვის რა სასიამოვნოა!..

მოხუცი დადუმდა. წარმოვიდგინე ყველა, ვინც-კი გააცოცხლა მოხუცმა თავისი მოგონებით. აგერ, გრძელი ცეცხლივით წითელ ულვაშებიანი ყაჩაღი დამშვიდებული მიდის სასიკვდილოთ და თავისუფლად ჩიბუხს ეწევა, სიარულშიც კი ძალა და ენერგია ეტყობა... მას უსათუოდ ცივი, ცის-ფერი თვალები უნდა ჰქონოდა და ყველაფრისთვის დაკვირვებით უნდა ეცქირნა. აგერ, გვერდში მას შავ-ულვაშება მეთევზე ამოსდგომია; საწყალს ისე გასტკბობია სიცოცხლე, რომ სიკვდილის მოახლოვება ტირილსა ჰგვრის. მის გაფითრებულ სახეზედ ჩამქრალან მხიარული თვალები და ცრემლით დასველებულ ულვაშებს საცოდავათ ჩამოქინდრიათ წვერები და სიკვდილის შიშით მოღრეცილ პირს ერთი ორად ამახინჯებენ. აგერ მოხუცი თათარიც, მედიდური, მტარვალი და ფატალისტი უსათუოდ, მას თავისი პირმშო შვილისთვის ჩაუჭიდია ხელი და მოდის. სუსტს ახლათ ათქორებულ აღმოსავლეთის ყვავილს, უგემნია კოცნის ტკბილი შხამი და მოწამლულა. აგერ თავმომწონე პოლონელიც, ზრდილი, მაგრამ მკაცრი, მჭევრ მეტყველი და მშიერი... დღეს ესენი აჩრდილად ჰქმნილან და აღგვილან დედამიწის ზურგიდან. ის კი, რომელსაც ჰკოცნიდნენ ისინი და ეალერსებოდნენ, დღეს ცოცხალი ზის ჩემს გვერდით; მაგრამ დროთა ვითარებას ესეც გამოუხრია და უხორც-სისხლო არსებათ გადაუქმნია. მისი ოდესღაც მჩქეფარე სისხლი დღეს გაყინულა, თვალებს ცეცხლი ჩაჰქრობია და გულს სურვილები გამოჰლევია...

ივ. პოლუმორდვინოვი.

(შემდეგი იქნება)

ოქტომბრის თვეში, როცა თალაკვაძე მიდიოდა თურმე, მას დახვედრია ნინიძე და წალაპარაკებულან; უბრალო ლაპარაკი ხმა მაღლა მუქარით შეცვლილა. ამ ყვირილზე გამოსულა ნინიძის ცოლი; ამ დროს თალაკვაძეს გაუსვრია რევოლვერი, პირველი ტყვია ნინიძეს ასცდენია, ხოლო მეორე მოხვედრია მის ცოლს და იქვე მომკვდარა. თალაკვაძეს მიუსაჯეს სამის წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ვექილმა საქმის გასაჩივრება ისურვა.

9 მარტს ირჩეოდა მიქელ-გაბრიელის მცხოვრების თედ. ებგენიძის საქმე. ებგენიძეს ბრალად ედებოდა ლავრენტი ზოიძის სიკვდილი. ებგენიძეს იცავდა ნაფიცი ვექილი ბარათაშვილი. საქმე აი რაში ყოფილა. 1991 წლის 8 სექტემბერს დღეობაში ებგენიძე (55 წლისა) და ზოიძე ერთად ყოფილან მიპატიჟებული. იქიდან კარგა გადკრული წამოსულან გზაზე. ზოიძეს დაუჟინია, თუ ჩემი ამხანაგი ცენტრაძე არ მომგვარეთ, თავს მოვიკლავო. მისთვის ყური არ უგდიათ და სიმღერით გზა გაუგრძელებიათ. უცებ რევოლვერი გავარდნილა. მიუხედავთ და დაუნახავთ ზოიძე მკვდარი. ეჭვი აუღიათ ყველა მასთან მხლებლებზე და დაუტუსაღებიათ ოთხივე კაცი. ბოლოს იერიში მიუტანიათ ებგენიძეზე, რადგან ის და ზოიძე უბედურ დღეს უბრალო საქმის გამო უკმაყოფილონი ყოფილან. სამსაჯულომ ებგენიძე სრულიად უდანაშაულოდ იცნო. ამ დღესვე უნდა გარჩეულიყო კიდევ მკვლელობის საქმე, მაგრამ გადაიდვა და ამით დასრულდა ოლქის სასამართლოს სესია.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ ჩვენებური დღეობის მოვლენა-შედეგებს. ერთხელ კიდევ მივმართავთ ყველა სოფლის გულ-შემატკივართ „ხატის მიზეზით“ ნუ ლოთობენ და მერე ერთმანეთს ნუ ჰხოცავენ. ეს ჩვეულება ხატის ლოცვა კი არა, მისი შეგინება-შელახვაა...

წერილი გორიდან

(სოფლის ფულის გაფლანგვა)

კვირას, 10 მარტს, ძლივს მიხვდნენ ბოდბელები, რომ თავიანთი მტარვალ-მგლეჯელნი შინვე ჰყოლიათ. მძინარა სოფელს მიეცა შემთხვევა, გაეხილა თვალი და დაენახა, რა ხდებოდა მის არე-მარეზე.

რამდენიმე დღის წინად სოფელს მოსთხოვეს წარსულის წლის დარჩენილი ნაწილი ფოსტის გადასახადისა. ამ ამბავმა ძალიან დააფიქრა მთელი სოფელი, რომელსაც სრულიად გადახდილი ჰქონდა ხსენებული ფული. შეიქმნა ერთი ჩოჩქოლი და ალიაქოთი, სოფელმა დაუწყო „მზრუნველ-მამებს“ ძებნა, რომელთაც მოჰკრიბეს ხსენებული ფული; მაგრამ რისთვის? უნდოდათ და მოიხმარეს, ამას რაღა ძებნა და გამოძებნა უნდა?!

იმ ვაჟბატონებს წელს ყავლი უთავდებოდათ სოფლის „მამობისა“; სოფელმა ამოირჩია მეორე თორმეტი, მათი მაგიერი და დაავალა გაეგოთ, სად წასულა წვითა და დაგვით მოგებული (დაახლოვებით 1200 მან.) ფული, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მკითხველო, რომ ძველმა „მამებმა“ ახალი „მამები“ შორი-ახლოსაც არ გაიკარეს! ჰეი, გიდი, ქიზიყელო, ბიჭებიც მაგეთი უნდა, აი! დასხდნენ ახალი „მამები“, ახსენეს ღმერთი და დაიწყეს ანგარიში და მართლაც აღმოჩნდა, რომ ხსენებული ფული სოფელს გადახდილი ჰქონია და ხაზინას კი არ მიუღია.

ეს ამბავი მაზრის უფროსმაც გაიგო და განკარგულება მისცა ახალ „მამებს“ ძველი „მამებისთვის“ მოეთხოვათ ანგარიში. ეს განკარგულება უნდა სისრულეში მოეყვანათ კვირას, 10 მარტს. შეიკრიბა მთელი სოფელი და გაეშურნენ სოფლის სამმართველოსკენ, რომ ყველას გაეგო დაკარგული ფული სად, ვის ჯიბეში ჩხრიალებს. მაგრამ ეს ამბავი საწყენათ მიიღეს ძველმა „მამებმა“ და ხანჯლებით დაერივნენ სოფელს. შეიქმნა ერთი არეულობა, ცემა-ტყება; ზოგმა ჭიგო გამოარბენინა სახლიდან, ზოგმა ბარი, ზოგმა ცული და ასე და ამნაირად ძალზე მიბეგვეს მოწინააღმდეგენი. რამდენიმე სოფლის კაციც დაიჭრა სამიშრად, უფრო ძლიერ—ძველი „მამათაგანი“ აბრიკო. ასე რის ყოფით დაშოშმინდა სოფელი. ეს ამბავიც აცნობეს მაზრის უფროსს; დაიწყეს გამოძიება. ამასთანავე მაზრის უფროსმა უბრძანა ახალ „მამებს“, აელოთ ძველ „მამებისაგან“ გაფლანგული ფული.

ცუდი დღე დაადგა სოფლის ფულის გამფლანგველთ: ჩაუყენეს ყველას „ეგზეკუცია“ სათითაოდ, რაც კი რამე ებადათ სახლში, მთლად გამოზიდეს და სამმართველოში დაალაგეს; ერთ „მამათაგანს“ ისე შეშინებოდა, რომ მაფრაშაში ჩაედო თავის ცოლს და პირზე მოეკრა. როდესაც მაფრაშასაც წაღება დაუპირეს, მაშინ ნახეს, რომ შიგ ძველი „მამა“ იდო. ასე და ამნაირად, სანამ სულ არ გადიხდიან გაფლანგულ ფულს, ვერ დაიბრუნებენ თავიანთ ნივთებს.

ელიზო.

უცხოეთის წვრილი ამბები

დიდად სასარგებლო და ძვირფასი ფუტკარი ხან-და-ხან და ხშირადაც უცნაურ ალაგას ამოირჩევს ხოლმე თაფლის შესაგროვებლად.

ამერიკის ერთ ქალაქ რიჩმონდში უმთავრესს მოედანზე დიდი ხანი არ არის დადგეს გენერალ რობერტ ლიის ძეგლი ცხენით. ეხლა-ხან, როდესაც ოსტატი ასწორებდა და ასუფთავებდა ძეგლს, შენიშნა ოსტატმა, რომ როდესაც ჩაქუჩს დაჰკრავს ძეგლს—ბრინჯაოს ცხენს, რაღაც უცნაური ყრუ ხმა მოისმის ცხენიდან, თითქო ამ ბრინჯაოს ცხენში შიგნით რაღაც რბილი რამ ნივთიერება არისო. მალე შენიშნა ოსტატმა, რომ ცხენის პირიდან ცხვირის ნესტოებიდან გამოცვივდა აუარებელი ფუტკარი. როცა კარგად დაათვალიერეს ეს ძეგლი, აღმოჩნდა, რომ ბრინჯაოს ცხენის ყელში და გულში ფუტკრებს შეუგროვებიათ რამდენიმე ათი ფუთი თაფლი, რომლისაგან მხოლოდ თხუთმეტი ფუთი თაფლის გამოღება მოახერხეს.

* *

ჰოლანდიის ახალგაზდა დედოფალს ვილჰელმინას დრო ასე აქვს განაწილებული. დილით დედოფალი დგება შვიდ საათზე, ზამთარში—შვიდ-ნახევარ საათზე. იმისი მეუღლე—პრინცი ამავე დროს დგება, ხან-და-ხან უფრო ადრეც. ცხრის ნახევარზე მეუღლენი ერთად მიირთმევენ სუბუქ საუზმეს: პურს, კვერცხებს, ყველს და ყავას. ამის შემდეგ დედოფალი იწყებს მუშაობას. ყველა საქმეები წინათვე დალაგებულია პატარა დარბაზში, სადაც შედის დედოფალი პირნცთან ერთად და სადაც იმათ ელიან საკუთარი მდივანი და სასახლის ქალი. დედოფალი წაიკითხავს ყველა საქმეს და ხელს აწერს ანუ გადასცემს მდივანს. ცოტა ხნის შემდეგ, თერთმეტი საათიდან პირველის ნახევრამდე სეირნობს; თუ ცუდი დარია, მაშინ სასახლის ბაღში. პირველ საათზე თბილი საუზმეა დანიშნული, ოთხი ან ხუთი თავი საჭმელი, ღვინო და მინერალური წყლები. ამის შემდეგ დედოფალი ათვალიერებს სახელმწიფო საქმეებს და ღებულობს მინისტრებს და სხვა მნახველებს. ოთხ საათზე ჩაის მიირთმევს და შემდეგ ჩვეულებრივ სეირნობს ეტლით. ექვსს სააათზე იმართება დიდებული სადილი, რომელსაც პრინცი ესწრება და ზოგჯერ სასახლის საზოგადოების წევრებიც. სადილ შემდეგ ყავა და ტკბილი სასმელებია. საღამოთი სასახლეში მიიღებიან მნახველნი. 10 საათზე დედოფალი და პრინცი მიდიან მოსასვენებლად. თერთმეტ საათზე სასახლეში ყველას სძინავს. მხოლოდ მორიგ მსახურს არა სძინავს პატარა კანტორაში, დედოფლის ოთახებთან ახლო. ღამის განმავლობაში სასახლეს სამჯერ შემოუვლის მსახური.

* *

მგონია, ყველამ არ იცის, რომ ბევრი ჩარჩი-მსყიდველები ვაჭრობენ ქალის თმებით. ეს ვაჭრები დადიან საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, რუსეთში და ჩინეთშიაც კი და ყიდულობენ ძალიან იაფად ქალის თმას, რომელსაც შემდეგ ძალიან ძვირად ჰყიდიან.

საფრანგეთში ყველაზე მეტი ქალის თმა შემოდის ბრეტანიიდან. ბრეტანიელ ქალებს ძალიან წმინდა და ნაზი თმა აქვთ, რასაც ლონდონში ძალიან თხოულობენ. თავის ქვეყნის ჩვეულების მიხედვით, ბრეტანიელი ქალები არახჩინს ხმარობენ ანუ თავ-წაკრულები დადიან, რის გამოც იმათ არ ეტყობათ, რომ მშვენიერი თმა აღარ აქვთ თავზე; ამასთანავე ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ სიღარიბის გამო, ბრეტონიელ ქალებს დასძლევს ხოლმე დიდი ფული, რომელსაც ვაჭრები შეაძლევენ ხოლმე თმაში.

საფრანგეთში უფრო შავი და წაბლის ფერი თმა აქვთ, ჩრდილოეთ ევროპაში და გერმანიაში—ბოზრი და ოქროს ფერი. ქალარა და ბოზრი თმა ყველაზე ძვირად ფასობს, თუ ის თმა წმინდა და ნაზია.

ყველაზე დიდი ვაჭრობა თმით ხდება ლონდონში. ორთა შუა რიცხვით ლონდონში საღდება 1,500,000 მანეთის თმა წელიწადში. დიდ ფულს იგებენ თმის ვაჭრები. ლამაზი თმები ყოველთვის ძვირად ფასობს.

სასამართლო

13 მარტს ტფილისის მე-2 განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე ტფილისის მჭედელთა ამქრების ყოფილ უსტაბაშის დავით გალუსტოვისა, რომელიც შეურაცხყოფასა და ცილის წამებას უჩიოდა ტფილისის ხელოსანთა მოურავს კარაპეტ სერობინცსა და მის ცოლის ძმას პეტრუს შახპარონიანცს.

საქმე ამნაირად ყოფილა. როცა სერობიანცს გაუცხადებია, რომ გალუსტოვს უსტამბაშის თანამდებობაზე კენჭის ჩამოტარების ნებას არ მისცემს, რადგან იგი, დანაშაულობისა გამო, ციხეში იჯდაო, ამ დროს სერობიანცის ცოლის-ძმას, შახპარონიანცს მოუტანია სინაზე დამაგრებული დაჟანგული ქესტის ნაგლეჯი და გალუსტოვისათვის ყელზე დაუკიდნია. ამის გამო ხელოსანთა საკრებულოში ყიჟინი და სიცილ-ხარხარი ამტყდარა და დაცინვით ყვიროდნენ: „ქესტ-ქესტო“.

გალუსტოვი აღნიშნავს თავის განცხადებაში, რომ შახპარონიანცმა ეს დამმართა და ამ დაცინვით მოხუცებულს ზნეობითი შეწუხება მომაყენაო. ყველა ეს სერობიანცის დარიგებით მოხდა, რადგან შახპარონიანცის მოქმედებაზე სერობიანცი არც-კი გაკვირვებულაო. ბ-ნმა გალუსტოვმა სთხოვა მოსამართლეს სერობიანცის და შახპარონიანცის დასჯა.

სასამართლოში საქმის გამოძიების დროს მოწმეებმა ამ საჩივრის სინამდვილე დაამტკიცეს, ვინაიდან სერობიანცი თვისის თანამდებობის აღმასრულებელი იყო, როცა გალუსტოვს შეურაცხება მიაყენეს, ამისათვის მომჩივანს თვისის საჩივრით მთავრობისათვის უნდა-მიემართნა. მოსამრთლემ მოსპო ეს საქმე, რადგან ეს საქმე მას გასარჩევად არ ექვემდებარებოდა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 მარტი

პეტერბურგი. თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი ივანოვი კიევში წავიდა.

მოსკოვი. მეაბრეშუმეთა კომიტეტი ჰგზავნის დონის ოლქში თავის წევრს კიტკოვს მეაბრეშუმეთა საქმის გასაცნობად ამ მხარეში.

ვარშავა. ვარშავის ტეხნიკოსთა საზოგადოებამ გამოსცადა სპირტით განათება, რომელიც კარგი გამოდგა; თეთრ შუქს იძლევა.—ადგილობრივი გაზეთები იწერებიან, რომ გაზაფხულზე შეუდგებიან რკინის გზის კეთებას ზგერჟიდან ოსტროლენკაში.

კიევი. ქალაქის თავის არჩევნების დროს მომეტებული კენჭი ამოუვიდათ ექიმ პროცენკოს და პროფესორ ზეისელმანს.

სარატოვი. დიდი ფირმა „ნოვიკოვი და შვილები“ გაკოტრებულად აღიარეს. სასამართლომ დაადგინა, ფირმის წევრები დააპატიმრონ.

ცარიცინი. საბჭომ დაადგინა, ხელ-შეკრულება ბელგიის ელექტრონის საზოგადოებასთან დაარღვიოს და შეჰკრას „უნიონის“ საზოგადოებასთან.

ხარკოვი. „იუჟნი კრაი“-ში დაბეჭდილია: „ამ გაზეთის სტამბაში მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელი კასსის წევრებმა, მოისმინეს რა მოხსენება ურთიერთ კრედიტის საზოგადოების საქმეების მდგომარეობაზე და ქალაქ ხარკოვის ასოთ-ამწყობთა დახმარებაზე, დაადგინეს, იშუამდგომლონ კასსის შეერთებაზე ასოთ-ამწყობთ საზოგადოებასთან“.

ტიუმენი. საბჭომ დაადგინა, ერთ სამრევლო სკოლას დაარქვან „გოგოლისა“.

ურალსკი. ურალსკის ჯარების სტანიცების საზოგადოებათა ამორჩეულმა პირებმა დაადგინეს, აღეკრძალოს თივის გატანა მსყიდველების საქონლით და აგრეთვე დაქირავება მეზობელი გლეხებისა და კირგიზებისა სახნავად და სთიბად.

კოვნო. პეტერბურგის თეატრების არტისტთა დასს სამი სრულ შემოსავლიანი წარმოდგენა ჰქონდა; დასი გაემგზავრა გროდნოში.

ტულა. დაადგინეს გახსნან ყრუ-მუნჯთა სკოლა ტულაში.

პეკინი. ხანანის სამხრეთ ნაწილში ხალხი აჯანყდა. თოთხმეტი ქრისტიანი გაჟლიტეს. გუბერნატორი ამბობს, რომ აჯანყება გამოიწვია ხარჯის შეწერამ უცხო სახელმწიფოების დასაჯილდოვებლად.

კოპენჰაგენი. რუსეთის ქვრივი დედოფალი მობძანდა აქ, ვოგზალზე დახვდა მთელი სამეფო ოჯახი.

პეტერბურგი. „რუსკი ინვალიდ“-ში მოხსენებულია ბრძანება სამხედრო სამინისტროსადმი იმაზე, რომ ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებათ, რომელნიც წლიურად იმუშავებენ ასი-ათასს მანეთზე მეტს, 1902 წლიდან უნდა გადაიხადონ სახელმწიფო ხარჯი.

14 მარტი.

პეტერბურგი. 11 მარტს საზამთრო სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტაცია უქვეშევრდომილესის მადლობის გამოსაცხადებლად. ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა გუბერნიის მარშლის სიტყვა და უპასუხა: „**დიდის სიხარულით მოვისმინე ერთხელ კიდევ თქვენ გრძნობათა გამოცხადება; იმედი მაქვს, რომ პეტერბურგის თავად-აზნაურობა თავის წინაპრებივით განაგრძობს უანგარო და ერთგულ სამსახურს ტახტისა და სამშობლოსადმი**“.

დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა შესწირა ნოვგოროდის გუბერნიის ს. ჩუდოვის სასოფლო-საოჯახო სკოლას 400 მ.

ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავარმა სერგი ალექსანდრეს ძემ უავგუსტოესის მეუღლით დაათვალიერეს სამეცნიერო აკადემიის ზოოლოგიური მუზეუმი.

ბრესტ-ლიტოვსკი. ცეცხლის შემდეგ ქალაქი ნელ-ნელა შენდება. მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა ჯერ ისევ სამწუხაროა.

როსტოვი-დონზე. მოჰკლეს სამოცდაათის წლის მოხუცი ისაკ ბუში, მევახშე. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

კაპშტადტი. როდსი გარდაიცვალა.

ლონდონი. ინგლისის პრესსა კარგის აზრისაა რუსეთის ახალის სესხის შესახებ და კარგ ბოლოს უქადის მას.

ლოძი. აქეთ კარგ მოსავალს ელიან.

ყაზანი. წითელ ჯვრის საზოგადოებამ დამშეულ ადგილებში დააარსა 75 სამზრუნველო, სადაც 27 ათას კაცზე მეტს ეხმარებიან. გაჭირვება თან-და-თან მატულობს. ცინგა (ღრძილების ავადმყოფობა) საშინლად ვრცელდება. 2000-ზე მეტია ავად. მუშაობს წითელ ჯვრის ექვსი რაზმი. ძალიან ნაკლებად არის ტანისამოსი და ფეხსაცმელი. შემოწირულება არ მოდის, თუმცა დიდი გაჭირვებაა.

ხარკოვი. ხარკოვის გუბერნატორს თ. ობოლენსკის ნადიმი ჰქონდა სამოსამართლო პალატის თავმჯდომარის ჩერნიავსკის პატივ-საცემლად ამ უკანასკნელის 35 წლის სამსახურის შესრულების გამო.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: „ჯარის რამდენიმე რაზმი 20 მარტს დაიძრა დელარეის წინააღმდეგ; მტერს წაართვეს სამი 15 გირვანქიანი ზარბაზანი, ტყვედ აიყვანეს 135 ბური და ხელში იგდეს დიდ-ძალი საქონელი“.

პარიზი. კოშენი ლაპარაკობს რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმებაზე შორე-აღმოსავლეთში და ეკითხება მთავრობას, რა გვარი მონაწილეობა აქვს საფრანგეთს. დელკასე უპასუხებს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა ჩინეთში უცვლელი რჩება. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ჩინეთის ტერიტორია ხელ-უხლებელი დარჩეს და მის განვითარებას არაფერი გადაეღობოს წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ინტერესები შორე-აღმოსავლეთში საშიშ მდგომარეობაში იქნება. შორე-აღმოსავლეთში არსებობს ძალთა შეთანხმება, რომლის მიზანია დაიცვან statusquo და საზოგადო მშვიდობიანობა. სწორედ ეს აზრი დაედვა საფუძვლად საფრანგეთ-რუსეთის დეკლარაცია, რომელიც შეატყობინეს ყველა სახელმწიფოებს.

პრეტორია. გუშინ ჰოლანდიურ ეკლესიებში გამოაცხადეს, რომ ბურების დელეგატების წინადადებით. კვირას შეჰვედრებენ ღმერთს მშვიდობის აღდგენას,

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი**.

განცხადებანი

ქართული თეატრის გამგეობა აცხადებს, რომ ვ. აბაშიძის იუბილეის დღეს ვიღაცას **საათი დაჰკარგვია** თეატრში; პატრონს შეუძლიან მიიღოს იგი თეატრის კანტორაში, საათის ნომრისა და ნიშნების ჩვენების შემდეგ.

აგრეთვე ვიღასაც თეატრიდან შეცდომით წაუღია სხვისი ნაბადი და თავისი იქ დაუტოვებია; სთხოვენ, წაღებული ნაბადი დაიბრუნოს და თავისი მიიღოს.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. ამომრჩეველთ, რომ იმათ სახელზე ქონებათა გადატანის დოკუმენტების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია და აგრეთვე განცხადების შემოტანისა მაზე, რომელ საარჩევანოუბანში სურთ მიიღონ მონაწილეობა ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალს არჩევნებში—10 აპრილამდის 1902 წლ. (3—2)

ჩეჩილები,

რომლებიც დაჯილდოვებულია ოქროს მედლით, ლაგოდეხიდან აფრიკიანის ამხანაგობის „ტრუდ“ (შრომა) ისყიდება. მიხეილის ქუჩა, № 101, ტერ-სტეფანოვის პანსიონი. (4—2)

Дозволено цензурою Тифлисъ, 14 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა